

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IALA) ხელგნული ოფშორული სტრუქტურების მარკირების რეკომენდაცია 0-139 –ის (Recommendation on marking of manmade offshore structures recommendation 0-139) მიხედვით მომზადებული პროექტით მოახდინა საქართველოს პორტებში განთავსებული არხის გვერდითი მცურავი სანავიგაციო ნიშნების (LATERAL MARKS) მარკირება.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ წარმომადგენლებმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების 21-ე კონფერენციაზე (MBSH-21) მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ესპანეთის საპორტო ქალაქ კადისში გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზის ქვეყნების ჰიდროგრაფიული სამსახურები და მსოფლიოს წამყვანი კომპანიები ჰიდროგრაფიული ტექნოლოგიების ინდუსტრიიდან, რომლებმაც კონფერენციის მონაწილეებს წარმოუდგინეს ახალი ჰიდროგრაფიული ტექნოლოგიები. კონფერენციაზე განიხილეს საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სანავიგაციო რუკების შექმნისას საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებული საკითხები, დამუშავების პროცესში მყოფი IHO-ს ახალი სტანდარტები, ასევე საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის პერსონალის პოტენციალის ზრდის პროგრამით (IHO CAPACITY BUILDING) კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებასთან დაკავშირებული თემები. (ივნისი)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურსა“ და გაერთიანებული სამეფოს ჰიდროგრაფიულ ოფისს (UKHO) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის ჰიდროგრაფიული ოფისი (BRITISHADMIRALTY) საზღვაო რუკების წარმოებისას საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის კვლევების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს გამოიყენებს და შექმნილ პროდუქციაზე მათ

საქართველოს სახელით აღნიშნავს. შესაბამისად, რეალიზაციიდან შემოსავლის ნაწილს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის (Royalty) საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს აუნაზღაურებს. მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალი მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დიდი ბრიტანეთის ჰიდროგრაფიულ სამსახურში, ქ. ტაუნტონში გაიმართა. დოკუმენტს ქართული მხრიდან ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორმა რევაზ ბაბილუამ, ხოლო ბრიტანეთიდან გაერთიანებული სამეფოს ეროვნულმა ჰიდროგრაფმა, კონტრ ადმირალმა ტიმ ლოუმ მოაწერა. (სექტემბერი)

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ინიციატივით, სოხუმის შუქურას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. (ოქტომბერი)

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურსა“ და უკრაინის სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს შორის, ასოციაციისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა დოკუმენტს ხელი ბათუმში მოეწერა. მემორანდუმი ორი ქვეყნის ჰიდროგრაფიულ სამსახურებს შორის გამოცდილების გაზიარებას და ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებს. (ოქტომბერი)

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურსა“ ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა AIS (AUTOMATIC IDENTIFICATION SYSTEM) ექსპლუატაციაში გაუშვა. (ნოემბერი)

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ალექსანდრე ზარქუამ შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის IALA -ს მსოფლიო აკადემიის სანავიგაციო ნიშნების (IALA WORLD WIDE ACADEMY Aids to Navigation Management Training) მართვის ტრენინგი გაიარა. აღნიშნული ტრენინგი ინდოეთში, კოლკატას საზღვაო სანავიგაციო ინსტიტუტში 1 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს IALA-ს სანავიგაციო ნიშნების მენეჯერის საერთაშორისო სერთიფიკატი გადაეცათ. (დეკემბერი)